

თაბთა ბელაბვილი

მეტიველი



სულკაურიის
ბავშვთა დაცვის
სამსახური

თამთა მელაშვილი

გათვლა

რომანი

მეორე გამოცემა

რედაქტორი ანა ჭაბაშვილი

ყდის დიზაინერი თათია ნადარეიშვილი

ტექნიკური დიზაინერი ლადო ლომსაძე

ტექსტი © თამთა მელაშვილი, 2014

გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014, 2021

ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65

ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-722-5

Tamta Melashvili

COUNTING OUT

Novel

© Tamta Melashvili, 2014

Published by Sulakauri Publishing, 2014, 2021

All rights reserved.

www.sulakauri.ge

მთხმეათი

დედამ თქვა: რძე აღარ მაქვს, იმიტომ ტირის.

რძე აღარ აქვს, იმიტომ ტირის, ვუთხარი ნინცოს. რა უნდა ქნა? ნინცომ თქვა. გველესიანები ისევ, სხვა გამოსავალი არაა. ჭიშკრის სახელურს აწვალე. გუშინ კრუნჩხვებში ჩავარდა, მე ვთქვი, ტირილისაგან, მერე ისევ ღვინიან თითებს ვუდებდი პირში. მერე ისევ დაიძინა. გეუბნები. გველესიანების აფთიაქია გამოსავალი. ეგ უნდა ვქნათ. მომკლავს, მე ვთქვი. გული მერეოდა. მოგიკვდებათ ის ბავშვი და მერე იძახოს დედაშენმა, ღმერთს რომ ანგელოზები მიჰყავს თავისთან, ნინცომ თქვა, ხმა გაუნვრილდა. ნუ მკრეხელობ, მე ვთქვი. რატომ ხართ ორივე დედა-შვილი ასეთი დები-

ლი? ნინცოს ხელს ჭიშკრის სახელურზე ხელი მოვუჭირე. გააჩერე, ნერვებს მიშლის ამის ხმა. აჰა. ნინცომ ხელი გაუშვა. არ იცი, როგორია? მე ვთქვი. ერთი საათი მწყევლა მანანას მაღაზიიდან მოპარულ ჩაიზე და მაკარონზე. ე, ნინცომ თქვა, ისევ სახელურს მოკიდა ხელი, საიდან მიხვდა? ჰუმანიტარულის ქალებმა მომცესო, არ უთხარი? კი ვუთხარი, ოღონდ ფასების აძრობა დამავინწყდა. რატომ ხარ ასეთი დებილი? რატომ? ჰა, გაუშვი სახელურს ხელი. შენც გაუშვი. ჯერ შენ გაუშვი. აჰა! ერთხანს ჩუმად ვიყავით, ერთმანეთს ვუყურებდით. შემო და ერთად გავიდეთ, ნინცომ თქვა, თვალი ამარიდა. ეზოში ზაურა იჯდა. ერთ მხარეს იყურებოდა. ძველი კოსტიუმი ეცვა, მთელი ნაგავი ზედ მოეკრიფა, მკერდზე ჰქონდა დაკიდებული. შეხედე, შიგ არა აქვს? ნინცომ თქვა, ასე, ამ მედლებში ზის მთელი დღე. შეხედე, როგორ დადის, ზაურამ თქვა. ჩათლახი იზდება ესა. შენც ჩათლახად იზდება. ბებიამისი კიდევ. ეგე, ოთახში კვდება. ბაბუა, ნინცომ უთხრა, შედი სახლში, ხომ ხედავ, დაფრინავენ.

რამე არ იყოს. იჰ, ზაურამ თქვა, მეორე მხარეს გაიხედა. ნინცოს ყვავილებისთვის მინა ჰქონდა ამოთხრილი, იმის ტკეპნა დავინყე. გამოვიცვლი და გამოვალ, ნინცომ თქვა. ბებიაშისი კვდება, ზაურამ გაიმეორა. არ ვუპასუხე. ეს რა ომია, ზაურამ თქვა, ეს ომი არ არის. ესენი აქეთ, ისინი იქით, შუაში კიდე არაფერი. კორიდორს გახსნიან, მე ვუთხარი. რას? ვინ თქვა? კორიდორს კი არა. ასე თქვეს, მე ვუთხარი, ჩემი კლასელის მამამ თქვა. იჰ, ზაურამ თქვა, არ გახსნიან. აგერ ნახე. ამოგვყუყავენ. გახსნიან, მე ვთქვი, ჩემი კლასელის მამამ თქვა. ამ დღეებში გახსნიან. ჩემი კლასელის მამამ, ჩემი კლასელის მამამ, ზაურამ თქვა, სახე დაემანჭა. დაანებე მაგ მიწას თავი. ესენი ისე ფრენენ, მაღლა აიხედა. ისე როგორ, მე ვთქვი. ისე. ამოგვყუყავენ. აბა კი, მე ვუთხარი, აქამდე ამოგვყუყავდნენ. ერთი მითხარი, გოგო, ზაურამ თქვა, მე უფრო დამეჯერება, თუ შენი კლასელის ხეიბარ მამას? ჩემი კლასელის მამას, მე ვუთხარი. იჰ, ზაურამ თქვა, გაჩუმდა. ჰე, გავედით, ნინცომ თქვა, კარი ზურგს უკან

მიიხურა. რაღაცა ლურჯი კაბა ეცვა. თუთუნს მპარავს, ჩათლახია ესა, ზაურამ თქვა, მოგვა-
ძახა. ნინცოს ვითომ არ გაუგია, წაუყრუა,
კაბაზე იყურებოდა. ნახე, რა მაგარია, ცქნაფ,
ოლონდ ის ჯიბეები ავარღვიე, ბოლოში ხელი
მოჰკიდა, ააფრიალა. მერე ვიცანი. ქურდო, მე
ვუთხარი, ქურდო! მოიცა რა, ნინცომ თქვა,
ხელი აიქნია. ხომ გთხოვე, არ აიღო-მეთქი.
ქურდო, რამდენჯერ გითხარი, არ აიღო-მეთქი.
ნუ დაიწყებ რა, ნინცომ თქვა, მკვდარზე ქურ-
დობა ქურდობა არ არი, გაიგე ერთხელ და
სამუდამოდ. რა იცი, რომ მკვდარია? რა იცი?
არ ვიცი, ნინცომ თქვა, მე ერთი მაგის მიტოვე-
ბული სახლი ვიცი, თვალახვეული რომ
შემიყვანო, უკვე ეგრე ვიცი. და მორჩი რა,
ყელში ამომივიდა. კარგი, მე ვთქვი, კარგი. ხო
კარგი, ნინცომ თქვა, ცოტა ხნის მერე, მეტს
მართლა აღარაფერს წამოვიღებ. ეს ძალიან
მომენონა, ლურჯია, დედაჩემზე მახსოვს ასე-
თი. კარგი, მე ვუთხარი, კარგი. თან შენთვის
სიურპრიზი მაქვს. ცენტრალურ ქუჩაზე
გამოვედით, ცარიელ ქუჩაზე. სიურპრიზი?

უაზროდ გავიმეორე. სწრაფად იარე, ნინცომ ველარ მოითმინა, თან საქმე, თან სიურპრიზსაც გაჩვენებ. კარგი. ერთი პირობით, მე ვთქვი. ხო, კარგი, ეგ პირობა მერე მითხარი. ასე რატომ მიდიხარ? ვკითხე. დაგვინახავენ. ისე შორია. ნინცო, დაგვინახავენ, მე ვუთხარი. ხო კარგი, ნინცომ გადიდებული თვალებით შემომხედა, კარგი. მეორე მხრიდან მოვუარეთ. გაიხედ-გამოიხედე, მე ვუთხარი. არავინაა, ნინცომ თქვა. ჯერ მე გადავძვერი, მერე ნინცო. მე სწრაფად, იმას ცოტა გაუჭირდა. გატეხილი საკეტი ფრთხილად გავაღეთ და შევძვერით. ცოტა ხანი დაგვჭირდა, სანამ სიბნელეს თვალს შევაჩვევდით. ბნელი სახლი იყო. ფარდების გადანევა არც გვიფიქრია. აქეთ წამო, ნინცომ თქვა, მაგარი რამე გაჩვენო! შენ აქ როდის იყავი? მე ვკითხე. რავი, ორი დღის წინ, ნინცომ თქვა, კვერნაძემ გატეხა საკეტი. რა ახვარი ბიჭია, მე ვთქვი. ვაა, ცქნაფუშ, ნინცოს გაეცინა, ცუდ სიტყვებს ნუ იძახი. ღმერთი დაგსჯის. მიდი, მე ვუთხარი, მხარი გავკარი. საძინებელში შევედით. ნინცომ კარადა გამოაღო. აჰა

ესაა, ამაზე გეუბნებოდი. რა მერე, მე ვუთხარი, უგულოდ ვუთხარი. რა, რა მერე, ფლეიერი! თავისი დისკებით. აზრზე ხარ? ეტყობა, ვერ დაინახეს იმათ, არ ნაუღიათ! უკრავს კიდეც, აი, ნინცომ თქვა, აღფრთოვანებული იყო. რა მაგარია, დისკები, ბევრი დისკები. ცოტა დაუწიე, მე ვუთხარი. ეტყობა, დათუნასი იყო. დათუნასი იქნებოდა. დათუნა კიდე გახსოვს? ნინცოს ანთებული თვალეები ჰქონდა, დათუნა! რა ტიპი იყო. ძალიან მაგარი. სერიოზული ტიპი. შენ არ გემახსოვრება, შენ კაცებს როდის უყურებდი? ბავშვი ხარ ჯერ, ნინცომ ჩაიფხუკუნა. ხო სერიოზული ბუდეა აქა? კი, მე ვუთხარი, ოლონდ ხმას ჩაუწიე. ნინცო წამოდგა. მოდი, ცქნაფი, ვიცეკვოთ, მოდი, გამისწორე რა. არ მინდა, მე ვუთხარი. ო, კარგი, მოდი რა, ნინცო აღარ დამელოდა. ცეკვა დაიწყო. რა მაგარია! ნინცოს თავი ჰქონდა მაღლა აწეული, ირწეოდა. და სიურპრიზი რა იყო? მე ვკითხე. სიურპრიზი? დაიცა. აი, სიურპრიზი. აი, საოცრება. ნინცომ კაბა გამოწია, ლიფიდან სიგარეტის კოლოფი გამოიღო. ეგ

საიდან? მე ვკითხე. დაკითხვაა, გოგო? ნინცო გაჩერდა, აღარ ცეკვავდა. ფლეიერი გამორ-
თო. ცქნაფი, რა გჭირს? ველარ გცნობ. რატომ
ხარ ეგრე? ბავშვის გამო? მითხარი, საიდან
გაქვს, გული მერეოდა. იმ ცისფერთვალეზამ
მომცა, ნინცომ თქვა, თვალი ამარიდა. ნინცო!
მე ვთქვი, ნინცო! გიყი ხარ? იმათთან იყავი?
რა ვიყავი, გოგო, ჩემთვის მივდიოდი, ლამა-
რასთვის მრავალძარღვა მომქონდა, რას
ირევი? საგუშაგოსთან მარტო ეგ იდგა. დამი-
ძახა და მივედი. ნინცო! მე ვთქვი. რა-მეთქი,
არ გაქვს სიგარეტი? მეთქი, ერთ-ორ ღერს
ავართმევ და მთელი კოლოფი მომცა. მაჩუქა.
ნინცო, მე ვთქვი. ხომ იცი, რომ საშიშია მაგათ-
თან! ან ვინმე ჩვენთანს დაენახე? გული მერეო-
და. მკიდია რა, ნინცომ თქვა, მაგარი ტიპია.
ცისფერი თვალეზი აქვს, რა ტანზე დგას, იცი?
დედას ვფიცავარ, თუ არ მოვწონდე. იცი, რა
თვალეზით მიყურებდა? მაგარი გითხრა, ხში-
რად გხედავთ შენ და იმ პატარა გოგოსო,
შენზე თქვა. ხო-მეთქი, ჩემი პატარა დაა,
კოლოფი გახსნა. დებილო! მე ვთქვი. რა სა-

ჭირო იყო ტყუილი? მითხარი! მართლა დები-
ლო, რა, რომ მეტქვა, ტოლები ვართ-მეტქი,
დაიჯერებდა? ნინცომ მკერდზე დაიხედა.
საზიზღარი ხარ, მე ვუთხარი. მერე? რა მერე,
მომცა სიგარეტი, გავუღიმე და წამოვედი, ნინ-
ცომ მოუკიდა. იმანაც გამიღიმა, შემომაბოლა.
საზიზღარი ხარ, გულს მირევ, მე ვუთხარი. რა
გინდა, ამდენის თქმა თუ მოახერხე, ვუკბინე.
დიახაც, ნინცომ თქვა. კარგი, ეს ყველაფერი
რომ დამთავრდება, ვალენტინას მადლობა
ვუთხრათ, იქნება და ნიშანიც მოგიმატოს. ნინ-
ცომ შემომხედა, ისე შემომხედა, გავჩერდი,
ხმა აღარ ამომიღია. მეც მოვუკიდე. მისმინე,
ნინცომ ცოტა ხნის მერე თქვა, სიგარეტი ასან-
თის კოლოფში ჩაასრისა, კვერნაძეს რაღაც
საქმე აქვს ჩვენთან. კვერნაძეს? ვთქვი, უაზ-
როდ გავიმეორე. ხო, რა იყო, ისე გიკვირს,
ვითომ არ იცნობდე. რაღაც საქმეა, სერიო-
ზული, ნინცოც ძალიან სერიოზული იყო. ნუ,
თუ კვერნაძეს, მე ვთქვი. ნინცომ თავში
წამომარტყა. ეგრე რა, თქვა, თორემ ისეთ ხასი-
ათზე ხარ ეს დღეები, მაშინებ, დედის სულს